ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	%
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები და სხვ.	10%-25%
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	12.5%-20%
არამატერიალური აქტივები	10%

შპს “გეა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადები.

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება წინა წლების გადმოტანილი ზარალით და პერიოდის დროებითი განსხვავებებით, რომლებიც წარმოიშვება აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსური განსხვავებებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყველა დასაბეგრი განსხვავებებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეს გამოქვითვადი დროებითი განსხვავება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან ან აქტივების და ვალდებულებების პირველად აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა იურიდიული პირისთვის გარდა კოდექსში მითითებული პირებისა. შეცვლილი მოგების კანონი არ ბეგრავს გაუნაწილებელ მოგებას და მოგების გადასახადი ერიცხება განაწილებული დივიდენდის 15%. ეს განსხვავდება წინა მიდგომისგან, როდესაც ორგანიზაცია იხდიდა 15% -ს მოგება/ზარალის მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მიუხედავად იმისა განაწილებული იყო თუ არა დივიდენდი. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების

შპს “გეა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროებს შეფასება სანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამდენიმე შემთხვევის აღმოჩენისას, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე. ფინანსური აქტივებისთვის წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალში.

გადახდილი ავანსები.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორ ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეებია წევრთა საერთო კრება, ძირითადი მენეჯმენტი.

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხი და მისი მიკუთვნება

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხები იქმნება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, როგორც წარსული

შპს “გეა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი ეჭვი, იმის, რომ მოხდება სახსრების გადინება ამ ვალდებულებებში დასაფარად, რომელიც არის საიმედოდ გამოთვალდი.
როდესაც არის რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, ისინი უნდა იყოს მიჩნეული მთლიანობაში, როგორც ვალდებულებების ერთი კლასი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.

- შესწორება IAS 7 სახელწოდებით ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს პირის ფინანსური საქმიანობების შესახებ.

- შესწორება IFRS 12 (გამოცემული 2016 წლის დეკემბერში) - შესწორება რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან, განმარტავს სტანდარტის მოქმედების ფარგლებს, და აზუსტებს სტანდარტის გამოყენების წესს.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს

შპს „გეა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.
- IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.
- ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.
- ჰეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშგებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.
- დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან. მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 9 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.
- IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან

შპს „გეა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ს მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან. მენეჯმენტი მოელოდა, რომ IFRS 16 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან. ფასს 17 მოითხოვს სადაზღვეო კონტრაქტების შეფასებას მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უფრო ერთგვაროვან შეფასებას და პრეზენტაციას ყველა სადაზღვეო კონტრაქტის. ეს მოთხოვნები არის იმისთვის, რომ მიღწეული იყოს უფრო თანმიმდევრული, პრიციპაზებზე დამოკიდებული აღრიცხვა სადაზღვეო კონტრაქტების.

- IFRS 2 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (გამოცემული 2016 წლის ივნისში) - ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის.

ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ის ცვლის 57 მუხლს და აცხადებს, რომ საწარმომ უნდა დააკლასიფიცოს აქტივი, როგორც საინვესტიციო ქონება ან შეწყვიტოს აქტივის საინვესტიო ქონებად კლასიფიცირება, მხოლოდ მაშინ, როდესაც არის მტკიცებულება მოხმარების ცვლილების ქონების მოხმარების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც აქტივი აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების დეფინიციას. მენეჯმენტის მიზნის ცვლილება გამოიყენოს აქტივი სხვა დანიშნულებით არ ნიშნავს აქტივის იმის მტკიცებულებას, რომ აქტივის მოხმარების მიზანი შეცვლილია.

- ფასს 1 ფასს სტანდარტების პირველასი გამოყენება (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. აუქმებს მოკლევადიან გამონაკლისს E3-E7 მუხლებში ფასს 1 სტანდარტის.

- ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლის საწარმოებში (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტი განმარტავს, რომ ინვესტიცია ისეთ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში რომელიც

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოადგენს სარისკო კაპიტალის ორგანიზაციას, ან სხვა საპაიო საწარმოს, შესაძლოა აღირცხული იყოს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალიდან, საწყისი აღიარების დროს.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	ავტომობილები, კომპიუტერები, ავაჯი და სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატე რიალური აქტივები	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2015	4,298,767	1,007,694	40,259	76,943	504,181	5,927,844
მატება	1,908,578	327,499	46,448	34,913	442,794	2,760,232
კლება	-	(55,809)	(21,651)	-	(946,975)	(1,024,435)
დეკემბერი 31, 2016	6,207,345	1,279,384	65,056	111,856	-	7,663,641
მატება	-	59,896	49,218	56,715	-	165,828
კლება	-	(17,020)	-	(1,816)	-	(18,836)
დეკემბერი 31, 2017	6,207,345	1,322,259	114,274	166,756	-	7,810,634
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
დეკემბერი 31, 2015	-	(688,301)	(25,473)	(38,968)	-	(752,742)
მიმდინარე წლის ცვეთა ცვეთის ამობრუნება	(215,769)	(111,832)	(8,922)	(11,577)	-	(348,100)
გასხვისებაზე	-	52,565	11,727	-	-	64,292
დეკემბერი 31, 2016	(215,769)	(747,568)	(22,668)	(50,545)	-	(1,036,550)
მიმდინარე წლის ცვეთა ცვეთის ამობრუნება	(291,849)	(119,567)	(13,868)	(17,249)	-	(442,533)
გასხვისებაზე	-	11,769	-	-	-	11,769
დეკემბერი 31, 2017	(507,618)	(855,366)	(36,536)	(67,794)	-	(1,467,314)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2015	4,298,767	319,393	14,786	37,975	504,181	5,175,102
დეკემბერი 31, 2016	5,991,576	531,816	42,388	61,311	-	6,627,091
დეკემბერი 31, 2017	5,699,727	466,893	77,738	98,962	-	6,343,320

7. მარაგები

კომპანიის მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
საქონელი	8,765,710	10,065,151	10,299,992
სარეკლამო მასალა და დამხმარე მასალა	21,478	32,579	59,326
მიწოდებისთვის	1,314	815	2,227
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	(49,993)	(178,445)	-
ანარიცხი ნელა-მოძრავი მარაგებისთვის	8,738,509	9,920,100	10,361,545
სულ	8,738,509	9,920,100	10,361,545

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
მოთხოვნები მომსახურებიდან	4,494,833	2,102,176	3,083,632
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	(202,798)	(112,927)	-
სულ	4,292,035	1,989,249	3,083,632

9. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	77,246	95,470	92,108
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	106,830	5,446
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	26,197	6,767	28,858
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,824	826	56
სულ	106,267	209,893	126,468

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. წინასწარ გადახდილი საგადასახადო ხარჯები

კომპანიის წინასწარ გადახდილი საგადასახადო ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
გადასახდელი მოგების გადასახადი	312,623	218,369	-
სულ	312,623	218,369	-

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

11. მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
მოკლევადიანი ვალდებულებები	4,234,881	4,064,852	4,126,749
მოკლევადიანი სესხი	3,333,197	2,177,437	2,197,651
გადასახდელი პროცენტი	15,438	16,880	15,230
საგადასახადო ვალდებულებები	0	-	247,848
სულ	7,583,516	6,259,169	6,587,478

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი რეალიზაციიდან 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	(23,982,534)	(23,432,333)
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	472,059	1,526,470
სულ	(23,510,475)	(21,905,863)

13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის პერსონალის ხარჯები შედგება:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
გაყიდული/შემენილი საქონელი	12,984,578	13,284,198
ვადაგასული საქონელი	587,049	237,111
შემენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(53,389)	(120,413)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	40,819	34,440
ექსპორტის და იმპორტის მოსაკრებელი	1,600	2,600
მიწოდების სხვა ხარჯები	33,812	34,215
სულ	13,594,469	13,472,151

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
რეკლამის ხარჯები	216,357	72,781
რეგისტრაციის ხარჯი	17,701	2,473
განადგურების ხარჯი	15,269	5,041
შრომის ანაზღაურება	2,981,240	2,778,960
საიჯარო ქირა	133,612	168,929
საოფისე ინვენტარი	4,006	1,975
კომუნიკაციის ხარჯები	40,857	45,540
ელ. ენერგიის ხარჯი	34,283	30,190
წყლის ხარჯი	5,214	11,410
გაზის ხარჯი	13,886	13,422
დასუფთავება	2,291	2,316
დაზღვევა	45,509	27,693
რემონტი	25,828	18,082
კომპიუტერის ხარჯები	36,447	16,985
საწვავის ხარჯი	28,340	22,559
საკონსულტაციო ხარჯები და სხვა (მარკეტინგული)	32,979	31,256
საკანცელარიო ხარჯი	10,759	10,843
ჯარიმა და საურავი	-	2,151
სხვა საგადასახადო ხარჯი	60,742	139,391
წარმომადგენლობითი ხარჯი	197,904	88,961
მივლინების ხარჯი	184,432	185,578
იურიდიული მომსახურება	-	17,035
მარკეტინგული მომსახურება	75,181	97,107
სხვა საერთო ხარჯი	25,260	29,850
ბანკის მომსახურების ხარჯი	26,405	22,858
სამეურნეო ხარჯი	41,125	26,505
სულ	4,255,627	3,869,891

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა ხარჯები შედგება:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან და ჩამოწერიდან	5,250	3,244
არასაოპერაციო ხარჯი მოგების გამოყენებიდან	14,292	15,448
საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხები	1,155	82,064
განსაკუთრებული ხარჯები	41,055	79,123
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	-	178,445
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9,141	-
70,893	358,324	

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(3,492)	(7,875)
არასაოპერაციო შემოსავალი	(10,076)	(2,260)
განსაკუთრებული შემოსავალი	-	(19,735)
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	(128,452)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(38,034)	(37,037)
	(180,054)	(66,907)

16. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს მფლობელებთან, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. მიმდინარე გადასახადი მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი შემოსავლიდან მოქმედი ან ანგარიშგების დღისთვის არსებითად ძალაში შესული საგადასახადო ტარიფების გამოყენებითა და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის კოერქტირების გათვალისწინებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელით). წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში. კანონი ამოქმედდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდების მანძილზე ყველა პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, კომპანიები გადასახადს იხდიან მოგების განაწილების მომენტში, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს განაწილებული მოგება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მფლობელებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 წელს ან მომდევნო წლებში. გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანიამ აღაიარა გადავადებული მოგების გადასახადის ამობრუნება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წელს მოგება ზარალში კანონმდებლობაში სვლილებების გამო.

კომპანიის პერიოდის მოგების გადასახადი შედგება:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
გადავადებული მოგების გადასახადის მოძრაობა		
დროებითი სხვაობების წარმოქმნით ან ამობრუნებით	-	-
მიმდინარე მოგების გადასახადი	14,545	243,205
მოგების გადასახადის (დარიცხვა) / სარგებელი	14,545	243,205

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიას დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკი ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

17. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აქტივები	აქტივები
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
GEL	103,443	209,067
USD	954	279
EUR	113	31
სხვ.	-	-
ჯამი	104,510	209,377

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	გავლენა 2017		გავლენა 2016	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
მოგება / (ზარალი)	(730)	730	(165)	165

18. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მიდევალთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს, პროცესს, სადაც ჩართულია საკრედიტო კომიტეტი, აგრეთვე იგი მონიტორინგს უწევს გაცემულ სესხებს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარიობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	31 დეკემბერი, 2015
სავაჭრო მოთხოვნები	4,089,676	1,876,322	3,083,632
ფული და ფულის ექვივალენტები	106,267	209,893	126,468
	4,195,943	2,086,215	3,210,100

19. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალ მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვალდებულებები	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1 დან 3 თვემდე	3 დან 12თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე
სესხები	-	-	3,333,197	2,513,339
მოკლევადიანი ვალდებულებები	4,234,881	-	-	-
მთლიანი სამომავლო გადასახადი	4,234,881	-	3,333,197	2,513,339

ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოთხოვნა 1 თვეზე	1 დან 3 თვემდე	3 დან 12თვემდე	12 თვიდან
---------------------	-------------------	-------------------	--------------

შპს "გეა"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვალდებულებები	ნაკლები			5 წლამდე
სესხები	-	-	2,177,437	3,279,985
მოკლევადიანი				
ვალდებულებები	4,064,852	-	-	-
მთლიანი სამომავლო				
გადასახადი	4,064,852	-	2,177,437	3,279,985

20. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი მენეჯმენტი, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შეძენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ექვივალენტი პირობებით, რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით, სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამფუძნებელთა კრებამ გადაწყვიტა რომ მოეხდინათ 2,000,000 ლარის დივიდენდის განაწილება დაგროვილი მოგებიდან.